ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**ჯ-13. 13250177**
თარიღი:**17/01/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ურაველში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩისათვის სახელის მინიჭების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7, მე-8 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ'' ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ურავლეში მდებარე მე-17 ქუჩა გაგრძელდეს და მისი მოხაზულობა ჩამოყალიბდეს თანდართული სიტუაციური ნახაზის მიხედვით, რუკის შესაბამისად.

2. განკარგულება, რეაგირებისათვის, გაეგზავნოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება, მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს:

ა) სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

ბ) სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;

დ) საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს'' ვებგვერდზე.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში(მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N N60ბ).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

338917
4603964
อบ-17 ค